საკუთრების სოციალური ბუნება საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საზღვარგარეთ და საქართველოში

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

გიორგი ბარამიძე

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2025.11.01.21

აბსტრაქტი

ნაშრომის შექმნა, რომლის დასახელებაა - ,,საკუთრების სოციალური ბუნება საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საზღვარგარეთ და საქართველოში'' განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საკუთრებას, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე უნდა დაეკმაყოფილებინა საზოგადოების ყველა ფენის მოთხოვნები, ანუ უნდა ყოფილიყო სოციალური ბუნების მატარებელი თუმცა, სპეციალური ნაშრომი იმის შესახებ თუ რამდენად ასრულებდა საკუთრება ამ ფუნქციას, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში ისე საქართველოში მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მეცნიერები თავიანთ ნაშრომებში შეეხნენ ამ თემატიკას, თითქმის არ არსებობს.

ამდენად, საკვლევი თემა უდავოთ აქტუალურია და ამ მიმართებით იურიდიულ მეცნიერებაში არსებულ ხარვეზს ერთგვარად ავსებს წინამდებარე ნაშრომი.

საკვანძო სიტყვები: საკუთრება, სოციალური, ბუნება, საზოგადოება, ფორმაცია, კერძო, მოთხოვნები.

The social nature of property at different stages of social development abroad and in Georgia

David Aghmashenebeli University of Georgia

Giorgi Baramidze

Abstract

The creation of the work, the title of which is - "The Social Nature of Property at Different Stages of Social Development Abroad and in Georgia" was determined by the fact that property, at different stages of the development of society, had to satisfy the requirements of all strata of society, that is, it had to be a bearer of a social nature. However, there is almost no special work on the extent to which property fulfilled this function, both in foreign countries and in Georgia, despite the fact that individual scientists have touched on this topic in their works.

Thus, the research topic is undoubtedly relevant and the present work fills the gap in legal science in this regard.

Keywords: Property, social, nature, society, formation, private, requirements.

შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საკუთრება არის არამხოლოდ ცალკეულ ინდივიდთა ეკონომიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება, არამედ ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი. ამდენად, საკუთრებას უნდა ჰქონდეს სოციალური დატვირთვა, ანუ იგი უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების ყველა ფენის მოთხოვნას, რადგან იგი იმდენად აუცილებელი გახდა საზოგადოებისთვის, რომ ჯერ კიდევ რენესანსის პერიოდის უდიდესი მოაზროვნე ნიკოლო დი ბერნარდო მაკიაველი (1469-1527 წ.წ.), თავის ნაშრომში ,,მთავარი'' (იტალიურად ,,IIprincipe'') გარდა იმისა, რომ საკუთრებას ისტორიის მამოძრავებელ ძალას უწოდებდა, მასზე უფლებას სიცოცხლის უფლებაზე მაღლაც აყენებდა და ხელისუფალთ შეახსენებდა, რომ მათ შეუძლიათ თავისუფლად დასაჯონ სიკვდილით თავიანთი ქვეშევრდომები თუ ამისთვის საკმარისი სამხილი გააჩნიათ, მაგრამ თავი უნდა შეიკავოს სხვისი ქონების ხელყოფისაგან, ვინაიდან ადამიანები უფრო ადვილად ურიგდებიან მამის სიკვდილს ვიდრე სამკვიდროს მოშლას.[1]

მიუხედავად ამისა საკუთრების სოციალური ბუნება საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, საზღვარგარეთის ქვეყნებში და საქართველოში სათანადოთ არ არის შესწავლილი.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს არსებული ვითარების შეძლებისდაგვარად გამოსწორებას, რისთვისაც გამოყენებულია, როგორც ისტორიულ-შედარებითი სამართლებრივი კვლევის, ისე დიალექტური მეთოდები, რაც იძლევა შესაძლებლობას გაანალიზდეს საკუთრების სოციალური ბუნების ასპექტები საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში, ასევე მისი კავშირი საზოგადოებრივ მოვლენებთან.

შედეგები: ნაშრომზე განხორციელებული კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ განვლილი საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა საკუთრების ობიექტები და შინაარსი, მესაკუთრეთა, როგორც ამ ურთიერთობის სუბიექტთა შემადგენლობა და საკუთრების ბუნება, ანუ იგი ხან სოციალური დატვირთვის მატარებელი იყო ხანაც კარგავდა ამ ფუნქციას, ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნებოდა საქართველოშიც, კერძოდ: პირველყოფილი თემური წყობილების საწყის ეტაპზე დომინანტური იყო თემის, როგორც კოლექტიური მესაკუთრის როლი თემის რიგით წევრებთან შედარებით, ანუ თემის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა თემის წევრთა ფიზიკური გადარჩენისთვის აუცილებელი თავდაცვის საშუალებები, ასევე არსებობისთვის საჭირო ნადირობისა თუ მოსავლის მოსაყვანი პრიმიტიული იარაღები, მოგვიანებით თემის რიგით წევრებსაც გაუჩნდათ საკუთრებაში შრომისა და თავდაცვის ისეთი საშუალებები, როგორებიცაა, კაჟის დანა, მშვილდისარი და აშ., ანუ გაჩნდა თანამედროვე გაგებით პირადი საკუთრების მსგავსი ინსტიტუტი.

ამდენად, ზემოთქმულს თუ იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ ტერმინი ,,სოციალური'' დაკავშირებულია ადამიანების ცხოვრებასთან და მათ ურთიერთობებს ახასიათებს[2] ის, რომ პირველყოფილ საზოგადოებრაში საკუთრება მთლიანად სოციალური ბუნების მატარებელი იყო, რადგან აკმაყოფილებდა არა ცალკეულ კერძო პირთა, არამედ იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნებს, თუმცა იმის გამო, რომ სოციალური სტრატიფიკაციის მოდელები გვხდება კლასის საზოგადოებაში, რომელშიც ადამიანები ჯგუფდებიან იერარქიული სოციალური კატეგორიების ერთობლიობად,[3] პირველყოფილ საზოგადოებაში კი, კლასები ჯერ კიდევ არ არსებობდა. ასევე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის, რაც მიჩნეულია, რომ თითქოს ამ საზოგადოებაში საკუთრება არ იყო სოციალური ბუნების მატარებელი, რაც არ მიგვაჩნია მართებულად.

პირველყოფილ საზოგადოებრივი ფორმაციის რღვევის პროცესმა, რამაც არსებული უკლასო საზოგადოების ნაცვლად ორი ურთიერთდაპირისპირებული კლასის გაჩენას

შეუწყო ხელი მონებისა და მათი მფლობელების სახით, განაპირობა ისეთი სოციალური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ისტორიაში ცნობილია მონათმფლობელური საზოგადოების სახით. ამ საზოგადოების არსებობის საწყის ეტაპზე კი, რაც კარგად ჩანს ძველი რომის მაგალითზე, საკუთრება, ცალკეულ სუბიექტთათვის სოციალური ბუნების მატარებელი იყო იმდენად, რამდენადაც არსებობდა საერთო ანუ, საზოგადოებრივი საკუთრების ისეთი სახეები, როგორებიცაა-პრეტორიანული, ანუ ,,ბონიტარული საკუთრება,'' პროვინციული საკუთრება და პელეგრინების საკუთრება.[4]

მოგვიანებით კი, მონათმფლობელური საზოგადოების სინამდვილეში სახელმწიფომ დაუშვა კერძო საკუთრების არსებობა, რაც გახდა საზოგადოებაში სოციალური კონფლიქტების მთავარი მიზეზი, რადგან კერძო საკუთრება ქმნის უთანასწორობას ქონების ღირებულების საშუალებით, სადაც საკუთრების უპირველეს ობიექტებს ფუფუნების საგნებთან ერთად წარმოადგენდა მონა, რომელიც მონათმფლობელის საკუთრება იყო, ანუ მონათმფლობელის ხელისუფლება მონებზე იმდენად სრული[5] იყო, რომ მესაკუთრეს შეეძლო სხვა ნივთების მსგავსად მისი, როგორც ყიდვა-გაყიდვა, ისე გაჩუქება და აშ.

უნდა ითქვას ისიც, რომ კერძო საკუთრებაზე უფლების აღიარების შემდეგ, ძველ რომში გაფართოვდა მესაკუთრეთა წრე, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ საკუთრების, როგორც სამართალურთიერთობის ობიექტის მესაკუთრე სუბიექტები შეიძლება ყოფილიყვნენ, როგორც ცალკეული კერძო პირები მონათმფლობელების სახით, ისე ადამიანთა სხვადასხვა სახის გაერთიანებები, რომლებიც იმ დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იწოდებოდნენ კორპორაციებად, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს კი, წარმოადგენდა: საკუთრების ობიექტის შეძენა ნასყიდობის საფუძველზე, გაცვლა, ჩუქება, მემკვიდრეობის მიღება, დაპყრობით ომებში მონაწილეთათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ ალაფში წილი, დატყვევებული მოწინააღმდეგის

მონად ქცევა, უპატრონო ქონების ხელში ჩაგდება (არსებობდა წესი, რომლითაც ქონება იმას ეკუთვნოდა, ვინც მას პირველი დაეპატრონებოდა) და აშ.

უნდა ითქვას, რომ მონა, როგორც საკუთრების ობიექტი, სხვადასხვა ქვეყნებში, დიდხანს შემორჩა საზოგადოებრივი განვითარების ისტორიას, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მონების შეყვანა ბრიტანეთის მთავრობამ დაიწყო 1519 წელს, ამის მიზეზი იყო თამბაქოს მაღალშემოსავლიან ბიზნესში ჰყოლოდათ მუშახელი, რომლებიც უსასყიდლოდ იმუშავებდნენ, მონობის გაუქმების მომენტისათვის, ანუ 1860 წლისთვის კი, ამერიკის 15 შტატის სულ 12 მილიონიანი მოსახლეობიდან მონების რაოდენობა შეადგენდა 4 მილიონზე მეტს[6]. თუმცა, მხოლოდ 1870 წელს მიეცათ ყოფილ მონებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.[7]

მონათმფლობელური წყობილების პირობებში მონათა უუფლებო მდგომარეობამ[8]'' განაპირობა მონათა არაერთი აჯანყება, რამაც დააჩქარა მონათმფლობელური წესწყობილების ფეოდალური საზოგადოებით ჩანაცვლების აუცილებლობა.

ფეოდალურ საზოგადოებაში კი, საკუთრება წარმოადგენდა კერძო პირთა კეთილდღეობის დაკმაყოფილების საშუალებას და არ იყო სოციალური ბუნების მატარებელი, რაც კარგად ჩანს გაერთიანებული სამეფოს მაგალითზე, კერძოდ, ინგლისში, სანამ იგი შოტლანდიასთან ერთიან სახელმწიფოს შექმნიდა (1707 წ.), ჯერ კიდევ მე-13 საუკუნიდან დამკვიდრდა ტერმინი ,,ფეოდი" და იგი ნიშნავდა მიწის ნაკვეთით სარგებლობის ნებისმიერ სამემკვიდრეო უფლებას თუმცა, თანამედროვე ინგლისური მიწის სამართლის მიხედვითაც კი, ინგლისის მთელი მიწა გვირგვინის საკუთრებაა, რის გამოც ნებისმიერ მოქალაქეს მიწის გარკვეული ნაკვეთის მიმართ შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მფლობელობის შეზღუდული უფლება.[9]

ფეოდალურ ინგლისში საკუთრების უფლების წარმოშობის განსაკუთრებულ საფუძველს წარმოადგენდა მეფის მიერ ნაწყალობევი უძრავი ქონება, ანუ ,,ფეოდი,'' რომელიც მისი მფლობელის მემკვიდრეებს გადაეცემოდათ, მაგრამ მხოლოდ უვადო

სარგებლობაში, მართალია, თავის მხრივ მათაც შეეძლოთ მიწის თავიანთი ვასალებისთვის სარგებლობაში გადაცემა, მაგრამ მიწის მიღება დღესაც კი, პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება გვირგვინს.[10]

ზემოთქმულს თუ იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ ინგლისში მხოლოდ 1925 წელს მიიღეს კანონი ,,საკუთრების უფლების შესახებ,'' თუმცა, ამ შემთხვევაშიც კანონმდებლებმა გაითვალისწინეს მხოლოდ საერთო სამართლისთვის დამახასიათებელი მოთხოვნები და უცვლელი დატოვეს რა ყველა ტრადიციული ძირითადი ცნებები, უცხოელ იურისტებს უჭირთ მისი გაგება თუ ისინი არ იცნობენ ამ ქვეყნის ძველი მიწის სამართლის ძირითად ცნებებს, გადაუჭარბებლად შეიძლება იმის თქმა, რომ ინგლისში საკუთრება არც ყოფილა და დღესაც არ არის სრული სოციალური ბუნების მატარებელი.

ინგლისისგან განსხვავებულ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი, ფეოდალურ საქართველოში, რადგან გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საკუთრების სოციალური ბუნება ჩანს ფეოდალურ ქართლის სამეფოში, რაც სახელმწიფოს მიერ საზოგადოების ყველა ფენაზე სახელმწიფოს მხრიდან ზრუნავაში და არსებობისთვის აუცილებელი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების საზოგადოებისთვის უფასოდ მიწოდებაში გამოხატებოდა, კერძოდ ზემოთქმულს ცხადყოფს, XVIII-ე საუკუნის დასაწყისში (1705-1708 წლებში) შექმნილი ვახტანგ მეფის (VI) სამართლის 169-ე მუხლის შინაარსი, სადაც ნათქვამია: ,,ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფისა არის: წყალი, შეშა და ბალახი.“

საქართველოში ფეოდალური პერიოდის საკუთრებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ვახტანგ VI სამართლის წიგნი განასხვავებდა, როგორ კერძო პირთა საკუთრებას, რომელიც არსებობდა ინდივიდუალური და საერთო (ამხანაგობის) საკუთრების სახით, ასევე საეკლესიო და სახელმწოფო საკუთრებას.

რაც შეეხება საკუთრების წარმოშობის საფუძველს მას, ვახტანგ VI სამართლის წიგნის 169-ე მუხლში უკვე ნახსენებ სახელმწიფოსგან უფასოდ მისაღებ შეშასთან,

წყალთან და ბალახთან ერთად განეკუთვნებოდა - სამკვიდროს მიღება და ნასყიდობის ხელშეკრულება. მისი წარმოშობის საფუძველი იყო, ასევე განძის პოვნა (იხ. ამ სამართლის წიგნის 165-ე მუხლი), ქმრის ოჯახში ქალის მიერ შეტანილი მზითევი (იხ. 172-ე მუხლი, სადაც საუბარია გაყრის შემთხვევაში ცოლის მიერ ქმრის ოჯახში მიტანილი ქონების დაბრუნებაზე).

სხვა ქვეყნებისაგან, მაგალითად გერმანიისგან განსხვავებით, სადაც ქალის, როგორც მეუღლის და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლებები ელემენტარულადაც კი, არ იყო დაცული XX-ე საუკუნის მეორე ნახევრამდე, მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების მიღება ქართლის სამეფოში შეეძლოთ გარდაცვლილს მეუღლეს, შვილებს, გარდაცვლილის ძმას, ძმისწულს და ბიძაშვილებს (იხ.139-ე მუხლი), ასევე გარდაცვლილის უკანონოდ (ქორწინების გარეშე) დაბადებულ ბავშვსაც, კერძოდ ვახტანგ VI სამართლის 110-ე მუხლში ამ მიმართებით ნათქვამია, რომ სამკვიდროს დამტოვებელი თუ ისე გარდაიცვლებოდა, რომ უკანონოდ გაჩენილი ბავშვის (ბუშის) გარდა არავინ დარჩებოდა, გარდაცვლილის ძმებს ყმის მამულის ოდენა მამული უნდა მიეცათ და საქონელიც უნდა გაენაწილებინათ მისთვის.

ამდენად, ქართლის სამეფოში და სრულიად საქართველოშიც, ვინაიდან ვახტანგ VI სამართლის წიგნი საერთო გამოყენების სავალდებულო საკანონმდებლო აქტად ითვლებოდა მთელს ქართულ სამართლებრივ სივრცეში, საკუთრება, თუმცა, ნაწილობრივ, მაგრამ უდავოთ იყო სოციალური ბუნების მატარებელი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოსგან რადიკალურად განსხვავებულ ვითარებას ჰქონდა ადგილი ფეოდალური ფორმაციის გერმანიაში, სადაც შუა საუკუნეების პერიოდამდეც კი, თავადები თავიანთ სამფლობელოებში პატარ-პატარა მეფეებს წარმოადგენდნენ საეკლესიო წარჩინებულებთან ერთად და ბოლომდე არასდროს ემორჩილებოდნენ იმპერატორს. ხოლო, მას შემდეგ, რაც მეფის ხელისუფლების განმტკიცება მოხდა და ხანგრძლივ კუთხურ კარჩაკეტილობას ბოლო მოეღო ქვეყანაში შეიქმნა შედარებით სტაბილური პოლიტიკური და სოციალური

ვითარება, რასაც მოჰყვა 1870-1880 წლებში სოციალური პოლიტიკის გატარების მცდელობა, თუმცა ეს ტენდენცია კერძო სამართალს და შესაბამისად საკუთრების ინსტიტუტს დიდი ხნის მანძილზე არ შეხებია.

ეს მაშინ, როცა რევოლუციური პროცესების გააქტიურებას მთელს მსოფლიოში ფეოდალურის ნაცვლად კაპიტალისტური, ანუ ბურჟუაზიული ფორმაციის დამკვიდრება და შესაბამისი ბურჟუაზიული სახელმწიფოს სოციალურ სახელმწიფოდ გადაქცევა მოჰყვა, ანუ ადამიანის ღირსეული არსებობის დაცვის გარანტიების ვალდებულება მოქალაქეთა წინაშე აიღო სოციალურმა სახელმწიფომ[11] და აუცილებელი გახდა კერძო სამართლის იმ ლიბერალური პრინციპების მოქმედების შეზღუდვა, რომელთა გამოყენება საფრთხეს უქმნის ადამიანის ღირსეულ არსებობას.

თუმცა, მაგალითად, საფრანგეთისგან განსხვავებით, გერმანიის 1900 წლის სამოქალაქო კოდექსში, არ ასახულა სოციალური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ინსტიტუტები და ვერც აისახებოდა, რადგან გერმანია იმ პერიოდში ჯერ კიდევ პოლიციური სახელმწიფო იყო.

ყოველივე ზემოთქმული გახდა იმის მიზეზი, რომ ფაშისტური გერმანიის მესვეურებსაც კი, ცვლილება არ შეუტანიათ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნულ სხვა ნორმებში და ეს გრძელდებოდა ფაშიზმის დამარცხების შემდეგაც, ვიდრე 1953 წლის 31 მარტს გერმანიის კონსტიტუციამ არ გააუქმა ისინი.

კონსტიტუციით განხორციელებულ ამ გაბედულ ნაბიჯს კი, არაერთი ცვლილება მოჰყვა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, ამ მიმართებით. კერძოდ, ამ ქვეყანაში ჯერ აღიარებული იქნა ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, ყოველივე ამის შედეგია ის, რომ კანონით შესაძლებელი გახდა მეუღლეთა ქონების გამიჯვნა, განქორწინების შემთხვევაში კი, ის ქონება, რაც ერთად ცხოვრების მანძილზეა შეძენილი თანაბრად ნაწილდება მეუღლეთა შორის (იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები).

რაც შეეხება საფრანგეთს, XVIII-ე საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მთავარი ლოზუნგი, ვინაიდან კანონის წინაშე ყველას თანასწორობა იყო, საფრანგეთში საკუთრების უფლება აუცილებლად სოციალური ბუნების მატარებელი უნდა გამხდარიყო და საწყის ეტაპზე ასეც მოხდა, კერძოდ საფრანგეთის კონვენტისა და დირექტორიის მმართველობის პერიოდში (1793-1799 წ.წ.) უცხოელთა უფლებები ფრანგების უფლებებს გაუთანაბრდა.

თუმცა, მას შემდეგ, რაც ნაპოლეონ ბონაპარტე საფრანგეთის იმპერატორი გახდა და საფრანგეთის კანონმდებლობაში შესაბამისი კორექტირება მოხდა უცხოელთა უფლებების შემცირების ხარჯზე, რამაც საბოლოო განმტკიცება ჰპოვა საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსში.[12]

უნდა ითქვას ისიც, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, დასავლეთის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა, ნაცვლად იმისა, რომ ნაციონალიზაცია ყოფილიყო სრული და ნაციონალიზებული ქონება მოსახლეობის სოციალურ მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოხმარებოდა, შერჩევით განახორციელეს ნაციონალიზაციის პროცესი. კერძოდ, აქცენტი აიღეს შერეული ეკონომიკის შექმნაზე, სადაც მრეწველობის ზოგიერთი დარგი კერძო მფლობელობაში უნდა დარჩენილიყო, ხოლო ნაწილი, გამოცხადდა სახალხო საკუთრებად. ასე მაგ. გაერთიანებულ სამეფოში ატლის ლეიბორისტულმა მთავრობამ (1945-1951 წლები) მოახდინა ეკონომიკის ისეთი ძირითადი დარგების ნაციონალიზაცია, როგორებიცაა - ქვანახშრის, ფოლადის, ელექტროენერგიის და გაზის მრეწველობა.

თუმცა, 1980 წლის შემდგომ დასავლეთის ქვეყნები კვლავ დაუბრუნდნენ კერძო მფლობელობაში არსებული სექტორის აღიარების გზას და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში გახდა პრივატიზაციის მხარდაჭერა შესაძლებელი.[13]

რაც შეეხება სოციალიზმის იდეოლოგიას, ის თავისი არსით თითქოსდა მოწოდებული უნდა ყოფილიყო, რომ საკუთრების უფლება სოციალურისტურ საზოგადოებაში სოციალური ბუნების მატარებელი იქნებოდა, მით უფრო, რომ

ბოლშევიკები, რუსეთის სინამდვილეში იმ დაპირებით მოვიდნენ ხელისუფლებაში, რომ ფაბრიკა-ქარხნები მუშებს, ხოლო მიწა გლეხობს გადაეცემოდა, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იმაზე მითითებით, რომ თითქოსდა საკუთრება იწვევს სიხარბეს, ადამიანების მორალურად გახრწნას, აღვივებს მერკანტილურ მისწრაფებებს და აშ. პირიქით აცხადებდნენ, რომ საჭირო იყო კერძო საკუთრების გაუქმება და შრომის პროდუქტების ქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად. ყოველივე ამას კი, მოჰყვა ქმედითი ნაბიჯებიც. მაგ. კულაკების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც გაგრძელდა XX-ე საუკუნის 30-იან წლებამდე, ხოლო მას შემდეგ, როცა ქვეყანაში სახელმწიფო კოლექტივიზაციის პროცესი დასრულდა საზოგადოებრივი საკუთრება გაუტოლდა სახელმწიფო საკუთრებას.

თანამედროვე ქართული სახელმწიფო, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მსგავსად, ერთი მხრივ, კონსტიტუციურ დონეზე უარს არ ამბობს კერძო საკუთრებაზე, პირიქით, საქართველოს კონსტიტუციის 19.1-ე მუხლი მოითხოვს, რომ საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილი იქნეს. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკუთრება უპირობოდ დაცული ფასეულობაა.[14] თუმცა, მეორე მხრივ, ამავე კონსტიტუციის მე-5 მუხლით საქართველო, ვინაიდან არის სოციალური სახელმწიფო, რომელიც ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპებს განმტკიცებაზე, საკუთრებასთან დაკავშირებით კონსტიტუციის 19-ე მუხლი უშვებს საჯარო ინტერესებისთვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე საკუთრების ჩამორთმევის შესაძლებლობას. ყოველივე ამით კი, საკუთრების უფლება ექცევა გარკვეულ სოციალურ ჩარჩოებში, რადგან ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ ინტერესებს,[15] ე.ი. საკუთრებას დიდი სოციალური დატვირთვა აქვს,[16] ანუ იმას, რომ საკუთრებამ არა მხოლოდ კერძო ინტერესი უნდა დააკმაყოფილოს, არამედ საზოგადოების მოთხოვნებიც, რითაც საკუთრებას საქართველოს კონსტიტუციამ მიანიჭა სოციალური ფუნქცია იმით, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი

საჭიროებისთვის შესაძლებელი გახადა ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.[17]

საგულისხმოა ისიც, რომ საკუთრება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი უფლება. კანონმდებელი უფლებამოსილია, კონსტიტუციურსამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების დაცვით, დაადგინოს ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და ფარგლებს.[18]

დასკვნა

საკუთრების სოციალური ბუნება გულისხმობს იმის შესაძლებლობას, რომ საკუთრებამ უნდა დააკმაყოფილოს საზოგადოების ყველა ფენის მოთხოვნები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მხოლოდ პირველყოფილი თემური წყობილების დროს იყო საკუთრება სოციალური დატვირთვის მქონე.

სხვა საზოგადოებრივი ფორმაციის სახელმწიფოებში კი, საკუთრებას ან არ ჰქონდა სოციალური ბუნება (მაგ: ინგლისი, გერმანია) ან ჰქონდა უმნიშვნელოდ, ანდა, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე თავიდან გააჩნდა, მაგრამ შემდეგ უარი თქვა მასზე (მაგ: საფრანგეთი) კერძო პირთა საკუთრების სასარგებლოდ.

მათგან განსხვავებით, საქართველოს სინამდვილეში სახელმწიფო ოდითგანვე მეტ-ნაკლებად ზრუნავდა საზოგადოების ყველა კლასისა და ფენის წარმომადგენელთა საკუთრების უფლების დაცვაზე, რის გამოც, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე საქართველოში საკუთრებს უფლება იყო სოციალური ბუნების მატარებელი და ეს ტენდენცია გრძელდება დღესაც, კერძოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი უშვებს საჯარო ინტერესებისთვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე საკუთრების ჩამორთმევის შესაძლებლობას. ყოველივე ამით კი, საკუთრების უფლება ექცევა გარკვეულ სოციალურ ჩარჩოებში, რადგან ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ ინტერესებს, ანუ იმას, რომ საკუთრებამ არა მხოლოდ კერძო ინტერესი უნდა დააკმაყოფილოს, არამედ საზოგადოების მოთხოვნებიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაკიაველი, ნ. მთავარი, თბილისი 2021 წელი, თავი მე-17, გვ.58;
2. ჭაბაშვილი, მ. უცხო ენათა ლექსიკონი, მე-3 შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბ., 1989, 63-68;
3. Grant, J. Andrew (2001). ,,class, definition of", ed. Jones, R.J.Barry: Routlenge Encyclpedia of International Political Economy: Enties A-F. Taylor & Frannciz, p.161
4. Law Journal, საკუთრების უფლების კონსტიტუციური გარანტიები და საერთაშორისო ასპექტები, https://elawiounal. wordpress. com/2011/11/21;
5. მონიავა პ (თ)., პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, ,,მერიდიანი." თბ., 2004, 21;
6. დიაგრამა (Chart: Slave population in 1860) - https://www.billofrightsinstitute.org/activities/chart-slave-population-in-1860?utm_source=chatgpt.com;
7. იხ. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-15 შესწორება (1870წ) - https://wikisource.org/wiki/Index%3AUS_Constitution_in_Georgian_language.pdf?utm_source=chatgpt.com;
8. https://www.scribd.com/document/495649070/;
9. Megarry-Wade. The Law of Rcal Property, 1966. 13; Heymann, aaO. S.311 ff;
10. ცვაიგერტი, კ., კოტცი, ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი I. 201;
11. ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში 165;
12. გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა, ,,მერიდიანი." თბილისი, 2011, 127-128. ასევე, იხ. და შეადარეთ P.Viollet. Histoire du droit civil francais, Aalen, 1966. Pp.374-375;

13. ჰეივუდი ე., პოლიტიკური იდეოლოგიები, მესამე გამოცემა, ,,ლიგის პრესი.'' 2003, 134;
14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე: #1/2/411;
15. ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება (გერმანული სამართლის მაგალითზე), თბ., 1994, 182;
16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება, საქმე: N2/1-370,382,390,402,405;
17. ზოიძე ბ., სანივთო სამართალი, თბ., 1999, 63-64;
18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე: N1/1/543.